



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამომცემა

1936 წ. დეკემბრის 27.

№ 33

ტფილისი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ჯანმრთელობის დაცვა.

197. მაღარაისთან ბრძოლის დებულების დამტკიცების შესახებ.  
დებულება მაღარაისთან ბრძოლის შესახებ.

## ჯანმრთელობის დაცვა

197. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მაღარაისთან ბრძოლის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას ქვემოთდევნი დებულება მაღარაისთან ბრძოლის შესახებ და მისი მოქმედება გავრცელდეს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ჩათვლით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტაძე.

## დ ე ზ უ ლ ე ბ ა

## მალარიასთან ბრძოლის შესახებ.

## კ ა რ ი I

ადგილების მალარიას ადგილებად გამოცხადების პირობები და წესი.

1. მალარიის, როგორც მასური დაავადების, სასწრაფოდ მოსპობისა და მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარების საქმისადმი დიფერენცირებული მიდგომისათვის დაწესებულია შემდეგი კატეგორიების ადგილთა გამოყოფა იმის მიხედვით, თუ რამდენად არის ამ ადგილებში გავრცელებული მალარიით დაავადება:

ა) მალარიით სუსტად მოდებული ადგილები, სადაც მალარიით დაავადებულთა რაოდენობა მოსახლეობის 20% არ აღემატება;

ბ) მალარიით საშუალოდ მოდებული ადგილები, სადაც მალარიით დაავადებულთა რაოდენობა მოსახლეობის 20%-დან 60%-მდე;

გ) მალარიით განსაკუთრებულად მოდებული ადგილები, სადაც მალარიით დაავადებულთა რაოდენობა მოსახლეობის 60% აღემატება.

2. მალარიით დაავადების მიხედვით ამა თუ იმ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს როგორც საადმინისტრაციო რაიონები მთლიანად, ისე ცალკეული დასახლებული ადგილების ტერიტორია.

3. ადგილების ამა თუ იმ კატეგორიისათვის მიეკუთვნება ხდება არა ნაკლებ ვიდრე ორი წლით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ მალარიის მასური გამოკვლევის საფუძველზე რომელი გამოკვლევაც უნდა მოიცავდეს არა ნაკლებ, ვიდრე მოსახლეობის 10%-სა და ჩატარებულ იქნას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციის მიხედვით.

შენიშვნა. ადგილის ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში გადატანა შეიძლება ორი წლის გასვლამდეც, ეპიდემიოლოგიური პირობების შეცვლის გამო, აღრიცხვის ცნობების მიუხედავად.

## კ ა რ ი II

მალარიასთან ბრძოლის ორგანიზაცია.

ა. მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დაგეგმვა და ხელმძღვანელობა.

4. მალარიასთან ბრძოლის საერთო გეგმის შესამუშავებლად და საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ყველა უწყების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ მალარიასთან წარმოებული ბრძოლის ღონისძიებათა კოორდინებისა-

თვის, მთავრობის მიერ მაღარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დამტკიცების  
ლი გეგმის გატარებისათვის კონტროლის გასაწევად და მაღარიასთან ბრძოლი-  
სათვის მთავრობის მიერ გაღებული მატერიალური რესურსების გასანაწი-  
ლებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება ცენტრა-  
ლური სამალარიო კომიტეტი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მო-  
ადგილის თავმჯდომარეობით; კომიტეტი მოქმედობს განსაკუთრებული დებულებ-  
ის საფუძველზე.

5. ცენტრალური სამალარიო კომიტეტის შედგენილობაში შედიან: საქარ-  
ველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი (კომიტეტის თავმჯდომარის  
მოადგილე), წარმომადგენელი: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების და კომუ-  
ნალური მყურნეობის სახალხო კომისარიატებისა, შინაგან საქმეთა სახალხო კო-  
მისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი და საქართველოს პროფესიონალურ  
კავშირთა საბჭოსი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის  
ტრონიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი და ეპიდემიური სამმართვე-  
ლოს სამალარიო ჯგუფის ხელმძღვანელი (კომიტეტის მდივანი).

6. აფხაზეთის ასსრ-სა, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის  
ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე ყველა სარაიონო აღმა-  
სრულებელ კომიტეტთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულებად  
გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან არსდება ცენტრალური სამალა-  
რიო კომიტეტის განყოფილებები.

7. ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს და მის განყოფილებებს აქვთ ბეჭე-  
დი სახელმწიფო ღებრით და სათანადო წარწერით.

8. შეთვალყოფობა ცენტრალური სამალარიო კომიტეტის დადგენილებათა  
შესრულებისათვის ეკისრება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომი-  
სარიატს.

9. ჯუშობითი გეგმის შედგენა მაღარიის წინასწარ აღმკვეთ და მასთან  
ბრძოლის ძირითად სასანიტარო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებისა, რასაც ახორ-  
ციელებენ როგორც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოები, ისე  
სხვა უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები; უშუალო ოპერატიული  
ხელმძღვანელობის გაწევა მაღარიის იმ საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარე-  
ბისათვის, რასაც ახორციელებენ ჯანმრთელობის ორგანოები, და აგრეთვე კონ-  
ტროლის და სპეციალური ინსტრუქტაჟის გაწევა მაღარიასთან ბრძოლის ღონის-  
ძიებებისათვის, რასაც ახორციელებენ უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზა-  
ციები, ეკისრება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

10. ოპერატიული მუშაობის უშუალოდ ჩასატარებლად და ჯანმრთელობის  
ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე იმ უწყებების, დაწესებულებე-  
ბისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მაღარიასთან ბრძოლის ღონისძიე-  
ბებს ახორციელებენ, ინსპექტირებისა და კონტროლის გასაწევად საქართველოს  
სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსდება მაღარიასთან ბრძოლის  
სპეციალური ოპერატიული ჯგუფი.

11. ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელს და მალარიასთან ბრძოლის სპექტორებს, აგრეთვე მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განმახორციელებელი დაწესებულებების ექიმებს, ინჟინერ-ჰიდრო-ტექნიკოსებს და ენტომოლოგებს, რომელთაც პერსონალური სიით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამტკიცებს, მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლის დროს აქვთ სახელმწიფო სასანიტარო ინსპექციის მომუშავეთა უფლებანი, ხოლო მალარიის საწინააღმდეგო ქსელის უმაღლესი კვალიფიკაციის ყველა დანარჩენ მომუშავეს (ექიმი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ენტომოლოგი) აქვს სასანიტარო ექიმის უფლებანი).

12. მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა სრულად და დროულად გატარება, სახელდობრ: ტერიტორიის გაჯანსაღება, მექანიკური პროფილაქტიკა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებანი, თანხმად ყოველწლიურად დამტკიცებული მალარიის საწინააღმდეგო გეგმისა, — ეკისრება უწყებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ობიექტების ქვემდებარეობის მიხედვით.

13. ადმინისტრაცია თვითთელი ობიექტისა, როგორც არის საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, ახალსაშენებელი და სხვა მისთ, ყოველწლიურად ადგენს დაწვრილებითს გეგმას მალარიის საწინააღმდეგო მუშაობის ადგილობრივი პირობების შესაბამისად და პასუხისმგებელია მისი შესრულებისათვის.

**ბ. მალარიის წინააღმდეგ ღონისძიებათა დაფინანსების წესი**

14. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც სამეცნიერო-საკვლევო, ისე სამეცნიერო-საპრაქტიკო ხასიათის დაწესებულებათა (ტროპინსტიტუტი, ტროპინსპანსერები და სხვა მისთ.) მშენებლობის, გაწყობისა და შესანახ ხარჯებს, აგრეთვე მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან მებრძოლი სპეციილური რაზმების და ექსპედიციების მოსაწყობ ხარჯებს, კადრების მოსამზადებელ და გადამამზადებელ, სასანიტარო უცოდინარობის სალიკვიდაციო და საჩვენებელ საბონიფიკაციო სამუშაოთა ხარჯებს ეწევა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გადაღებული სპეციალური ასიგნებებიდან.

15. სამრეწველო წამოწყებების, საბჭუმეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიაზე ადგილების გაჯანსაღებასთან (დიდი და მცირე ჰიდროტექნიკური სამუშაოები 3 კილომეტრის რადიუსის ფარგლებში), სადგომების მოზადვასთან, საწოლის ფარდების მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე კოლოების ჭურთხა მოსასპობად საქირო ტრანსპორტის, ტარისა და დამზარებ მუშაობის ხარჯებს ეწევიან ეს ორგანიზაციები, ხოლო ქალაქებისა და მუშათა დაბების ტერიტორიაზე — საქალაქო და სადაბო საბჭოები და სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე — სასოფლო საბჭოები თავიანთი სახსრიდან.

16. ყველა უწყება, დაწესებულება და ორგანიზაცია თავისი სისტემის ხაზით ითვალისწინებს ყოველწლიურ საწარმოო გეგმაში ცალკე კარად უწყებუ-

ლი ოპერატიული წლისთვის მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათ, უთანხმოებას რა წინასწარ ჯანმრთელობის ორგანოებს ამ ღონისძიებათა საკმარისობას და მიზანშეწონილებას.

დიდი ჰიდრომელიორაციული სამუშაოები (ნაპირების რეგულირება და გამაგრება, მდინარეების კალაპოტების რეგულირება, მსხვილი ამოსაშრობი სამუშაოები, სარწყავი სისტემების გადაკეთება და სხვა მისთ.) უწყებებმა უნდა შეიტანონ ცალკე ტიტულების სახით კაპიტალურ სამუშაოთა გეგმაში, სამუშაოების საერთო ღირებულებისა და მუშაობის დაწყების და დამთავრების ვადების აღნიშვნით. მცირე ჰიდრო-ტექნიკური და ამოსაშრობი სამუშაოები გატარებულ უნდა იქნას სათანადო უწყებისა და ორგანიზაციის საფინანსო (ოპერატიულ) გეგმაში.

17. მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათათვის საჭირო ასიგნებები გაითვალისწინება ყოველწლიურ საკონტროლო ციფრებში და ოპერატიულ გეგმებში სპეციალური კარით.

### გ. მალარიასთან ბრძოლის დაწესებულებები.

18. მთლად სამედიკო-სასანიტარო ქსელის მიერ მალარიის წინააღმდეგ ჩასატარებელი მუშაობის ორგანიზაციისა და გაძლიერებისათვის არსდება მალარიასთან ბრძოლის სპეციალურ დაწესებულებათა შემდეგი სისტემა:

ა) ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც ეწევა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას მალარიისა და სხვა ტროპიკულ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესასწავლად, ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი ტროპიკული ინსტიტუტების და სამალარო სადგურების სამეცნიერო მუშაობას და ახორციელებს მალარიასთან ბრძოლის სპეციალისტების სრულყოფის საქმეს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ტროპიკული ინსტიტუტები, რომელნიც, წარმოადგენენ-რა სამეცნიერო-საკვლევო და პრაქტიკულ დაწესებულებებს, ეწევიან მუშაობას სამალარო დაწესებულებათა ქსელის ინსტრუქტირებისათვის, მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან საბრძოლველად კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის და სასანიტარო განათლების ორგანიზაციისათვის;

გ) სარაიონო და საქალაქო ტროპიკული სადგურები, რომელნიც ხელმძღვანელობენ მალარიასთან ბრძოლის საქმეს და ამასთან ერთად ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას კოლოების მოსასპობად, მცირე სამელიორაციო სამუშაოთა მოსაწყობად და მალარიით და სხვა ტროპიკული სნეულებით დაავადებულთა სამკურნალოდ, აგრეთვე რაიონში (ქალაქში) მალარიისა და სხვა ტროპიკულ დაავადებათა წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებათა ჩატარებისათვის კონტროლის განსახორციელებლად, მალარიასთან ბრძოლის საქმეში მთელი სამკურნალო-საპროფილაქტიკო ქსელის ჩასაბმელად და მისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

მუხ. 197

დ) სამალარიო (ტროპიკული) დისპანსერები და პუნქტები მუშაოა დასაწყისში, საბჭუმურნეობებში, კოლმეურნეობებში, ახალსაშენებლებზე და თევზის სარეწაოებში—ტროპიკული სადგურების ხელმძღვანელობით საპროფილაქტიკო და სამკურნალო მუშაობის ჩასატარებლად;

ე) საპროფილაქტიკო საფერშლო პუნქტები და საბონიფიკატორო პუნქტები კოლოსთან ბრძოლისათვის (დანავთიანება, მოფრქვევა, შობადვა, წვრილი ჰიდროტექნიკა საბჭუმურნეობებსა და კოლმეურნეობებში) უახლოესი სამალარიო დაწესებულებების ხელმძღვანელობით;

ვ) მოძრავი სამალარიო რაზმები, რომელნიც მოეწყობიან მალარიის გაჩენის წინასწარ აღკვეთისა და ლიკვიდაციისათვის.

გ. აღრიცხვა და მკურნალობა.

19. ყველა სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულებისათვის მყარდება მალარიით დაავადებულთა ერთიანი სავალდებულო აღრიცხვა.

20. წესიერი სისტემატური მკურნალობის ჩატარების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამყარებს მთელი სამედიკო-სასანიტარო ქსელისათვის მალარიით დაავადებულთა მკურნალობის სავალდებულო სტანდარტებს.

დ. კადრების მომზადება.

21. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ექიმთა სრულყოფის ინსტიტუტთან კურსების მოწყობით უზრუნველყოფს ექიმ-მალარიოლოგებისა და ენტომოლოგების მომზადებას და გადამზადებას.

22. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი სათანადო კურსების მოწყობით ამზადებს სპეციალურ საშუალო პერსონალს ექიმ-მალარიოლოგის თანაშემწეებს.

23. ყველა უწყება ვალდებულია შეიტანოს უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და ჰიდროტექნიკუმების, მილიორატორების, აგროტექნიკოსების, პედაგოგების და ენტომოლოგების მომზადებელი კურსების სასწავლო გეგმაში მალარიისთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სპეციალური კურსი.

24. განათლების სახალხო კომისარიატს სკოლების სასწავლო გეგმაში შეაქვს მალარიის და მასთან ბრძოლის საფუძვლების გაცნობა მოსწავლეთათვის.

25. ჯანმრთელობის ორგანოები ყოველწლიურად ამზადებენ ბონიფიკატორებს, მალარიის მზვერავებს და ქინიზატორებს სამრეწველო წამოწყებებში, საბჭუმურნეობებში და კოლმეურნეობებში სამუშაოდ. სამეურნეო ორგანიზაციები გამოყოფენ მოსამზადებლად საჭირო კონტინგენტებს და მათ თავიანთ ხარჯზე ინახავენ;

## კ ა რ ი III

### მაღარიასთან ბრძოლის ღონისძიებანი სახალხო შეურწმობის ცალკეულ დარგებში

26. როგორც ახალი მშენებლობის, ისე ძველი საირიგაციო საშრობი სისტემების, წყალსადენების, საკანალიზაციო სისტემების, სატრანსპორტო და საგზაო ნაგებობებისა და ყველა სახის სისტემის წყალსაცავების ყოველი გეგმა და პროექტი შეთანხმებულ უნდა იქნას ჯანმრთელობის ორგანოებთან მაღარიას საწინააღმდეგო მოთხოვნათა დაცვის მხრით.

27. იმ უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომელნიც წინა მუხლში ჩამოთვლილ სამუშაოებს ახორციელებენ, უნდა გაითვალისწინონ სამშენებლო ხარჯთა აღრიცხვებში ხარჯები, რაც უზრუნველყოფს მაღარიას საწინააღმდეგო ღონისძიებათა სამუშაოებს.

28. 26 მუხლში ჩამოთვლილ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ მიღების დროს სავალდებულოა ჯანმრთელობის ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობა მიმღებ კომისიაში.

ა. ჰიდროტექნიკურ სამედიცინო საშუალოთა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის დროს მაღარიასთან ბრძოლის მოთხოვნანი

29. ჰიდროტექნიკურ და სხვა ამგვარ ნაგებობათა ყოველგვარი მშენებლობის დროს აკრძალულია ისეთი შეკრული კარიერებისა და რეზერვების დატოვება, სადაც შესაძლოა ქვენიადავის ან ზედაპირული წყლის ჩადგომა. მშენებლობისათვის საჭირო ყველა რეზერვუარი უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჩასადენით უახლოეს წყალმიმღებამდე; ამასთანავე, აკრძალულია გარშემო მდებარე ადგილების დაჭაობება.

30. იმ გუბურების, არხებისა და მდინარეების სანაპირო ზოლი, რომლებიც დასახლებული ადგილების ფარგალშია და მათ ირგვლივ 3-კილომეტრიან ზონაში, ისე მოვლილ უნდა იქნას, რომ არ მოხდეს მათი დაჭაობება და წყლის მტენარების მოღება. აღნიშნულ ღონისძიებთა გატარება ეკისრებათ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—კომუნალური მეურნეობის ორგანოებს, ხოლო სოფლად—სასოფლო საბჭოებს.

31. არხებში წყლის დენის საშუალო სიჩქარე 1 წამში 0,2 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

32. აკრძალულია ახალი საირიგაციო სისტემების სრული ან ნაწილობრივი ექსპლოატაციის დაწყება, უკეთეს დამთავრებულო არ არის წყალსარინი ქსელი, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჩვეულებით სათანადო წყალმიმღებში და ირგვლივ ნიადაგს არ უნდა აჭაობებდეს.

33. წყლის მომხმარებელნი უზრუნველყოფენ იმ წყლის გაყვანას უახლოეს წყალმიმღებამდე, რომელიც შეიძლება დაგროვდეს არტეზიანულ ღრულებთან, კაბტაჟთან, წყაროებთან და წყალგამნაწილებელ სვეტებთან, და მათ არ უნდა დააქობონ ნიადაგი.

ბ. ჰიდრომელიორაციულ ნაგებობათა და წყალსაცავთა ექსპლოატაციის დროს მალარიასთან ბრძოლის მოთხოვნანი.

34. ყველა სარწყავი, წყალსარინი და წყალსაწრეტი არხი, გუბურა, წყლის ორმო და სხვა წვრილი სამეურნეო წყალსაცავი მისმა პატრონმა უნდა გაწმინდოს წყლის მცენარეებისაგან წელიწადში ორჯერ მაინც.

35. დაწესდეს საირიგაციო და წყალსაგდები სისტემების ისეთი გარკვეული ექსპლოატაცია, რაც უზრუნველყოფს მორწყვის ტექნიკისა და წყლის განაწილების წესიერად გატარებას და რაც შეუძლებელ გახდის ტერიტორიის დაქობებას და წყალსატევების გაჩენას. ნაკვეთის მორწყვა დატბორების მეთოდით აპრილის 15-დან ოქტომბრის 1-მდე შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაკვეთის დატბორების ხანგრძლიობა არ აღემატებოდეს 6-7 დღეს და ნაკვეთი გულდასმით იქნას დაგეგმილი.

36. არხებში წყლის დენის სიჩქარე არ უნდა იყოს ერთ წამში 0,2 მეტრზე ნაკლები. უკეთეს შეუძლებელია სათანადო სიჩქარის მიღწევა, სამეურნეო ორგანიზაციებმა არხები უნდა მოათრქვიონ და დაანავთიანონ.

37. ნიადაგის დაქობების ასაცილებლად ყველა იმ ორგანიზაციამ, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა, საბჭუმეურნეობამ, კოლმეურნეობამ და სხვ., რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს მეურნეობრივად საჭირო წყალსატევები და საირიგაციო წყალსაგდები და საშრობი სისტემები, უნდა შეაკეთოს ყოველ წელს ნაპირები, კაშხლები, რაბები, მილები და ხიდები და გააკეთოს ხიდები და მილები გადასასვლელ ადგილებში.

რემონტის გაკეთების დროს აკრძალულია შეკრული რეზერვების და ორმოების შექმნა, სადაც შეიძლება დაგროვდეს ნიადაგის და ზედაპირული წყალი. რეზერვების მოწყობა შეიძლება მხოლოდ თხრილების სახით, რაც უზრუნველყოფს წყლის ჩადენას გარეგან წყალმიმღებში.

38. საწრეტი არხების, მდინარეებისა და რუების გადაღობვა ყოველგვარი ზღუდარებით და კაშხლებით წყალთა მეურნეობისა და ჯანმრთელობის ორგანოების უნებართვოდ აკრძალულია.

გ. ტერიტორიის გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

39. ტერიტორიის დატბორების ასაცილებლად, დასახლებული ადგილების შიგნით და მათ ირგვლივ 3-კილომეტრიან ზონაში არსებულ სარწყავ და საშრობ თხრილებზე უნდა მოეწყოს რაბები და გადასასვლელი ხიდები, აგრეთვე სპეციალური ხიდები საქონლისათვის წყლის დასაღვეინებლად და სხვა საჭირო



ნაგებობანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ტერიტორიას დატბორებისა და დასახლებისაგან.

40. დასახლებული ადგილების ირგვლივ 3-კილომეტრიან ზონაში არსებული დიდი ქაობები, რომელთა ამოშრობისათვისაც საჭიროა სპეციალური გამოკვლევები და გეგმების შედგენა, შესწავლილ უნდა იქნას და მათი ლიკვიდაციისათვის უნდა განისაზღვროს ვადები.

41. დასახლებულ ადგილებში და მათ ირგვლივ 3-კილომეტრიან ზონაში მეურნეობისათვის გამოუსადეგარი წყალსატევები და მცირე ქაობები სავსებით ამოშრობილ ან ამოვსებულ უნდა იქნას არა უგვიანეს ერთი წლისა ამა დებულების გამოქვეყნებიდან.

42. 39, 40 და 41 მუხლში ჩამოთვლილ ღონისძიებებს ახორციელებენ:

ა) ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—კომუნალური მეურნეობის ორგანოები საქალაქო და სადაბო საბჭოების ხარჯთაღრიცხვებით; ამასთანავე, სამეურნეო ორგანიზაციებმა და სახლმფლობელობებმა უნდა მიიღონ აუცილებლად ამ საქმეში მონაწილეობა თავიანთი სახსრით;

ბ) საბჭოთა მეურნეობაში—უწყებები საბჭმეურნეობებისა და ტრესტების ხარჯთაღრიცხვებით;

გ) კურორტების ტერიტორიაზე—საკურორტო სამმართველოები კურორტების ხარჯთაღრიცხვებით;

დ) სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიაზე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების ხარჯთაღრიცხვებით.

43. აკრძალულია ქაობის ბრინჯის თესვა დასახლებული პუნქტების საზღვრიდან 3 კილომეტრზე უფრო ახლო.

44. დასახლებული პუნქტიდან 3-კილომეტრიანი ზონის გარეშე ქაობის ბრინჯის ნათესები უნდა ირწყვებოდეს წყვეტილი სისტემით, ან პატრონთა ხარჯით რეგულარულად უნდა მოიფრქვას კოლოს ჭუპრის გამანადგურებელი საშუალებით ჯანმრთელობის ორგანოების მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

#### კ ა რ ი IV

**მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებანი საბინაო-კომუნალურ მეურნეობათა ხაზით.**

45. ახალი დასახლებული ადგილების (ქალაქების), მუშათა დაბების, საბჭმეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაგეგმვის პროექტების შედგენის დროს, ან მალარიის მხრით საშიშ, მალარიან და მალარიის მხრით განსაკუთრებულად არასაშემიდობო ადგილებში არსებული დასახლებული ადგილების სოციალისტური რეკონსტრუქციის ან გადაგეგმვის დროს პროექტებით გათვალისწინებულ უნდა იქნას მალარიის წინასწარ აღმკვეთ ჰიდროტექნიკურ სამელიორაციო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა სისტემები.

დაგეგვისა და გადაგეგმვის შემოადინებული პროექტები უნდა განვიხილოთ ჯანმრთელობის ორგანოებს დასკვნისათვის.

46. ყველა მაღარიან ადგილას შემოდებულ უნდა იქნას შემდეგი სავალდებულო ღონისძიებანი, რაც განხორციელდება სასანიტარო ზედამხედველობის მითითებით იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომელთა გამგებლობაშია იმყოფება სათანადო წამოწყება, ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და სხვა მისთ.:

ა) დასახლებული პუნქტიდან 3-კილომეტრიან ზონაში არსებული, სამეურნეო მნიშვნელობას მოკლებული მცირე (სიღრმით) წყალსატევების მოსპობა;

ბ) სამეურნეო ან სხვა მიზნებისათვის საჭირო წყალსატევების დამუშავება სამალარიო კოლოს ჭურჭლების მოსასპობად, რაც წარმოებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული განსაკუთრებული ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

47. მაღარიის მხრით საშშ, მაღარიან და მაღარიის მხრით განსაკუთრებულად არასამშვიდობო ადგილებში საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სადგომების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, მაღარიანი კოლოების შემოფარებისაგან დასაცავი სპეციალური სამარჯვები.

48. ამა დებულების გამოცემის მომენტში არსებული საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი სადგომები, ან ისეთი სადგომები, რომელნიც შენდება ამა დებულების სამოქმედოდ შემოღებამდე დამტკიცებული პროექტებით, ისე უნდა მოეწყოს ორი წლის ვადაზე, რომ საესებით შესაბამებოდეს ამა დებულების 47 მუხლის მოთხოვნათ.

კ ა რ ი V

დასჯითი ხანკციები

49. ამა კანონის III და IV კარში აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200 მუხლის მიხედვით. თანამდებობის პირნი ასეთ შემთხვევაში დამატებით პასუხს აგებენ აგრეთვე სისხლის სამართლის წესით სამსახურებრივი მოვალეობის უგულველყოფისათვის სათანადო მუხლების მიხედვით.

50. უმოქმედობისათვის და სამსახურებრივი მოვალეობის უგულველყოფისათვის სამედიცინო მომუშავენი და აგრეთვე სამალარიო ქსელის სპეციალისტნი პასუხს აგებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

ფ ა ს ი 20 კ ა ბ .

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ხ-ოს 1936 წ. № 65. 3/შ. რედაქტორი მ. შამჩიქაძე  
საქმ. მმართველობა

ქალაქის ფორმატი 62X94 სმ.; 1/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნომანი  
გადაცეა სტამბას 1/XII; ზელოწერილია დასაბეჭდად 17/XII; ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 870119 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვე. სუამბა, ტფილისი. დაც. № 1228